



ენერგოეფექტურობის საკითხებზე მთავრობის და სამრეწველო სექტორის სამუშაო ჯგუფის მე-2 შეხვედრის ოქმი, 2021 წლის 9-11 თებერვალი

ენერგოეფექტურობის საკითხებზე მთავრობის და სამრეწველო სექტორის სამუშაო ჯგუფი (შემდგომში წოდებული, როგორც სამუშაო ჯგუფი - WG) წარმოადგენს „კლატფორმას“ მთავრობას და სამრეწველო სექტორს¹ შორის რეგულარული დიალოგის წარმართვისთვის, რათა მათ ერთობლივად განიხილონ და განსაზღვრონ გადაწყვეტილებები იმ გამოწვევებზე, რომლებიც თან ახლავს საქართველოს კანონის ენერგოეფექტურობის შესახებ (და ევროკავშირის შესაბამისი დირექტივების) იმპლემენტაციას მთავრობის, სამრეწველო კომპანიებისა და ბიზნეს სექტორის მიმართ. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს თავმჯდომარეობით, სამუშაო ჯგუფი ღიაა სახელმწიფო უწყებებისთვის, აგრეთვე სამეწარმეო და სხვა სექტორის საწარმოებისთვის, მიუხედავად მათი სიდიდისა.

წინამდებარე ოქმი აჯამებს მთავრობასა და სამრეწველო სექტორის სამუშაო ჯგუფის მე-2 შეხვედრის შინაარსსა და შედეგებს. შეხვედრის მიზანს წარმოადგენდა მომავალში საქართველოში ენერგოეფექტურობის ნებაყოფლობითი შეთანხმების სქემის შემდეგი ორი ძირითადი თემის / ელემენტის განხილვა:

1. ნებაყოფლობითი შეთანხმების სქემაში მონაწილე საწარმოების მიერ მისაღწევი ენერჯის დაზოგვის მიზნების ჩამოყალიბება;
2. წახალისების სტიმულები ნებაყოფლობითი შეთანხმების სქემაში მონაწილე საწარმოებისათვის.

შეხვედრაზე ასევე წარმოდგენილი იყო UNIDO-ს მიერ საქართველოს სამრეწველო კომპანიებთან ერთად განხორციელებული ენერგოეფექტურობის კვლევის წინასწარი შედეგები.

შეხვედრა სამი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა, 90-წუთიანი სესიებით პირველ და ბოლო დღეს და 2 საათიანი სესიით - 10 თებერვალს. COVID-19-ით გამოწვეული შეზღუდვებიდან გამომდინარე, შეხვედრა გაიმართა ონლაინ რეჟიმში, ვიდეო კომუნიკაციის / საკონფერენციო აპლიკაციის - ZOOM გამოყენებით. ყოველი შეხვედრის წინ ყველა რეგისტრირებულ მონაწილეს

¹ ტერმინი „მრეწველობა“ წინამდებარე დოკუმენტში გამოიყენება სამუშაო ჯგუფის კონტექსტში უფრო ფართო მნიშვნელობით და გულისხმობს კომპანიებს როგორც ტრადიციული წარმოების და გადამამუშავების სექტორიდან, ასევე ენერგო სექტორიდან და სხვა კომერციული სექტორებიდან, მსხვილ კომპანიებსა და ენერგო მომხმარებლებთან ერთად.



ელექტრონული ფოსტითგაეგზავნა ელექტრონული მოწვევის ბმულები და შეხვედრაში ჩართვის ინსტრუქციებთან ერთად.

შეხვედრის განმავლობაში პრეზენტაციები და დისკუსიები მიმდინარეობდა ქართულ და ინგლისურ ენაზე. უზრუნველყოფილი იყო სინქრონული თარგმანი.

ჯამში შეხვედრას დაესწრო 45 მონაწილე: 14 - სამთავრობო უწყებებიდან, 22 - სამეწარმეო, ენერგო და სატრანსპორტო სექტორის კომპანიებიდან და 9 - ენერგოეფექტურობის მხარდამჭერი ორგანიზაციებიდან, აგრეთვე სამი ქართული ბანკის წარმომადგენლები.

შეხვედრის დღის წესრიგთან დაკავშირებით, გთხოვთ, იხილოთ დანართი 1, მონაწილეების სრული სიისთვის - დანართი 2, ნებაყოფლობითი შეთანხმებების შესახებ დამატებითი ინფორმაციის ბმულებისთვის - დანართი 3.

1. ენერგოეფექტურობის საკითხებზე მთავრობის და სამრეწველო სექტორის სამუშაო ჯგუფის შესახებ ზოგადი ინფორმაცია

საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანებასთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესებისა და მცდელობების მიზნით, ბოლო წლებში ენერგოეფექტურობის საკითხები საქართველოს მთავრობის პოლიტიკური დღის წესრიგის სათავეში მოექცა. 2020 წლის 21 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „ენერგოეფექტურობის შესახებ“. UNIDO-ს ინდუსტრიული ენერგოეფექტურობის პროექტმა უზრუნველყო მნიშვნელოვანი პირდაპირი დახმარება კანონის იმ მუხლების შემუშავებაში, რომლებიც გავლენას ახდენს მრეწველობასა და მასთან დაკავშირებული ენერგოეფექტურობის მომსახურების ბაზარზე. ენერგოეფექტურობის შესახებ (EE) კანონი წარმოადგენს საქართველოს მთავრობისა და ენერგოეფექტურობის საკითხებით დაინტერესებული მხარეების უაღრესად მნიშვნელოვან მიღწევას. ამავდროულად, კანონი არის არა სამუშაოების დასრულება, არამედ კანონის იმპლემენტაციის ახალი ეტაპის დასაწყისი, პროგრამებისა და კანონქვემდებარე აქტების შემუშავების გზით, რაც უზრუნველყოფს და მხარს უჭერს აღნიშნული კანონით გათვალისწინებული მიზნების მიღწევას.

კანონის 21-ე მუხლი ეხება ენერგოეფექტურობის პოლიტიკას სამრეწველო სექტორში.

თავი V. ენერგოეფექტურობის პოლიტიკა მრეწველობაში

მუხლი 21. ენერგოეფექტურობის წამახალისებელი დამატებითი ღონისძიებები მრეწველობაში

1. მრეწველობაში ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების მიზნით, სამინისტრო უფლებამოსილია, საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით, დადოს საწარმოებთან ხელშეკრულება ნებაყოფლობითი შეთანხმების თაობაზე. ნებაყოფლობითი შეთანხმების თაობაზე ხელშეკრულების დადებისას შესაძლებელია გათვალისწინებულ იქნეს ენერგომომსახურების გაუმჯობესების ხელშეწყობა.

2. სამინისტრო აფასებს ნებაყოფლობითი შეთანხმების თაობაზე ხელშეკრულების დადებამდე საწარმოს მიერ შემოთავაზებულ სამიზნე მაჩვენებლებს. საჭიროების შემთხვევაში, თუ სამინისტრო შემოთავაზებულ სამიზნე მაჩვენებლებს

დამაკმაყოფილებლად არ მიიჩნევს, მას უფლება აქვს, დააწესოს სავალდებულო სამიზნე მაჩვენებლები, რომლებიც საწარმოს ენერგოეფექტურობის გაუმჯობესებას განაპირობებს.

3. ნებაყოფლობითი შეთანხმების მხარე – საწარმო უფლებამოსილია, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დადებული ნებაყოფლობითი შეთანხმების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე, მიიღოს საქართველოს მთავრობის, მათ შორის, სამინისტროს დახმარება ენერგოაუდიტისა და ენერგომენეჯმენტის სისტემის დანერგვისა და ენერგოეფექტურობის გასაუმჯობესებლად ინდივიდუალური ღონისძიების განხორციელების მიზნით.

4. სამინისტრო უფლებამოსილია, შეიმუშაოს ნებაყოფლობითი შეთანხმების მომზადების საფუძვლები და ზოგადი დებულებები.

ნებაყოფლობითი შეთანხმებების ძირითად არსს წარმოადგენს ისეთი პროგრამების განხორციელება, რომლებიც უზრუნველყოფს სამრეწველო კომპანიების მოტივირებას არსებული კანონმდებლობით გათვალისწინებულზე უკეთ მოქმედებისთვის. სანაცვლოდ, მონაწილე კომპანიები მიიღებენ გარკვეულ სარგებელს ან უპირატესობას. სამრეწველო ენერგოეფექტურობის პოლიტიკასთან დაკავშირებით არსებულმა საერთაშორისო და განსაკუთრებით ევროკავშირის გამოცდილებამ გვიჩვენა, რომ მთავრობისა და სამრეწველო სექტორისთვის (და შესაბამისად სხვა ელექტროენერჯის საბოლოო მომხმარებლებისთვის) ყველაზე ეკონომიური ღონისძიებების და პროგრამების იდენტიფიცირების მიზნით, კრიტიკულად მნიშვნელოვანია არსებული გამოწვევების ერთობლივად განხილვა და მჭიდრო თანამშრომლობა საუკეთესო გადაწყვეტილებების შემუშავების მიზნით ჩართული მხარეებისთვის.

ამგვარ მტკიცებულებებზე, აგრეთვე UNIDO-ს სამრეწველო ენერგოეფექტურობის პროექტის ფარგლებში განხორციელებულ მიზანმიმართულ პოპულარიზაციაზე, ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერებასა და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობაზე დაყრდნობით, ენერგოეფექტურობის საკითხებზე მთავრობის და სამრეწველო სექტორის სამუშაო ჯგუფმა დაიწყო მუშაობა 2020 წლის 19 თებერვალს, საქართველოს სამრეწველო სექტორში ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებული პირველი ნებაყოფლობითი შეთანხმების სქემის პროექტის შემუშავების მიზნით შესაბამისი პროცესის დაწყების გზით.

2. მე-2 შეხვედრის შეჯამება

სამშაბათი, 9 თებერვალი

შეხვედრის პირველი დღე ძირითადად დაეთმო კომპანიების წარმომადგენლებსა და სამუშაო ჯგუფის სხვა დაინტერესებულ მხარეებს, რომლებიც ვერ დაესწრნენ სამუშაო ჯგუფის პირველ შეხვედრას. UNIDO-ს წარმომადგენელმა, ბატონმა მარკო მატეინიმ ისაუბრა ენერგოეფექტურობის საკითხებზე სამუშაო ჯგუფის არსზე და პირველი სამუშაო ჯგუფის შეხვედრის ძირითად შედეგებზე.

ბატონი მატეინი მოკლედ შეეხო ნებაყოფლობითი შეთანხმებების სქემების ძირითად ელემენტებსა და საერთაშორისოდ/ევროკავშირში განხორციელებული ნებაყოფლობითი შეთანხმებების



გამოცდილების რამდენიმე შერჩეულ მაგალითს. ამის შემდეგ მან მონაწილეებს გააცნო სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრის სტრუქტურა და შინაარსი, ხაზი გაუსვა ყველაზე მნიშვნელოვან დასკვნებს არსებული მონაცემებიდან და ჩატარებული დისკუსიებიდან. კერძოდ, ენერგოეფექტურობის განსახორციელებელი ღონისძიებების ტიპებთან დაკავშირებით ჩატარებულმა გამოკითხვამ აჩვენა, რომ კომპანიების უმრავლესობისთვის არსებული ტექნოლოგიების გაუმჯობესებას შესაბამისი აღჭურვილობის დამატებით უდიდესი პრიორიტეტი ენიჭება, ხოლო მართვის პრაქტიკის გაუმჯობესებას და ოპერაციების ოპტიმიზაციას ყველაზე ნაკლები პრიორიტეტი გააჩნია.

იმ ტიპის მხარდაჭერის განხილვისას, რომლის მიღებასაც კომპანიები ისურვებდნენ მთავრობისგან ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების დასაჩქარებლად, წარმოდგენილი იქნა რამდენიმე წინადადება შემდეგი სამი ძირითადი ტიპის მხარდაჭერის შესახებ:

1. წახალისების სტიმულები – ტექნიკური დახმარება
2. წახალისების სტიმულები – ფისკალური ღონისძიებები
3. წახალისების სტიმულები – ფინანსური წამახალისებელი ზომები/ფულადი სახსრების მოზიდვა

ბ-ნი მატეინის მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციის ინგლისური და ქართულენოვანი ვერსიები განთავსებულია ღონისძიების ვებ-გვერდზე:

http://www.economy.ge/uploads/files/2017/energoefekturoba/project/geo/2020/eng_voluntary_agreement_on_ee_an_introduction_2.pdf

http://www.economy.ge/uploads/files/2017/energoefekturoba/project/geo/2020/geo_voluntary_agreement_on_ee_an_introduction_2.pdf

სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრის ოქმის გადმოწერა შესაძლებელია აქ. http://www.economy.ge/uploads/files/2017/energoefekturoba/project/geo/2020/final_industry_government_working_group_protocol_ge.pdf

ოთხშაბათი, 10 თებერვალი

ოთხშაბათს გამართულ სესიაზე სამუშაო ჯგუფის მე-2 შეხვედრა ოფიციალურად გაიხსნა.

თავის მისასალმებელ სიტყვაში, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილემ ბ-ნმა დავით თვალაბეიშვილმა აღნიშნა, რომ ენერგოეფექტურობის პოლიტიკა შედარებით ახალ მიმართულებას წარმოადგენს საქართველოს ენერგოპოლიტიკაში და ის უამრავ გამოწვევას უქმნის როგორც პოლიტიკის მესვეურთ, ასევე სამრეწველო სექტორის წარმომადგენლებს. ენერგოეფექტურობის შესახებ ახლად მიღებული კანონის იმპლემენტაცია ასევე წარმოადგენს გამოწვევას ქვეყნისთვის, განსაკუთრებით არსებული პანდემიის პირობებში. საქართველოს მთავრობასა და სამრეწველო სექტორს შორის ერთობლივი დიალოგი, UNIDO-სა და ავსტრიის ენერგეტიკული სააგენტოს ხელშეწყობით, არის მართებული პლატფორმა არსებული მდგომარეობისა და საჭიროებების შესახებ ინფორმაციის გაზიარებისთვის, აგრეთვე ერთობლივი მუშაობისთვის საქართველოში არსებულ პირობებზე მორგებული გადაწყვეტილებების მოძიების მიზნით.

ქალბატონმა მაია ცხვარაძემ, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კლიმატის ცვლილების სამმართველოს წარმომადგენელმა, თავის მისასალმებელ სიტყვაში ისაუბრა ენერგოეფექტურობის მნიშვნელობაზე კლიმატის ცვლილების შესაჩერებლად და გარემოსდაცვითი კუთხით არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. სამინისტრო მუშაობს ემისიების შემცირებაზე და აპირებს პარიზის შეთანხმების მისაღწევად კიდევ უფრო ამბიციური მიზნების დასახვას, წინა მიზნებთან შედარებით. სამრეწველო სექტორი წარმოადგენს ემისიის მნიშვნელოვან წყაროს ქვეყნისთვის, შესაბამისად აღნიშნულ სექტორში შემარბილებელი ზომების გატარება ასევე მნიშვნელოვანია ჩვენთვისაც. მან ხაზი გაუსვა, რომ UNIDO-ს პროექტის სახელწოდება უკვე მეტყველებს იმაზე, რომ პროექტი მიზნად ისახავს სათბურის გაზების შემცირებას, რაც ასევე შედის სამინისტროს ინტერესებში.

აღნიშნული მისასალმებელი გამოსვლების შემდეგ, ბატონმა მატეინიმ წარმოადგინა პრეზენტაცია, რომელშიც მან დამსწრე საზოგადოებას შეახსენა ენერგოეფექტურობის საკითხებზე მთავრობის და სამრეწველო სექტორის სამუშაო ჯგუფის ძირითადი მიზნები და ნებაყოფლობით შეთანხმებებზე მუშაობის ადრეული ეტაპები:

1. მთავრობასა და სამრეწველო სექტორს შორის კომუნიკაციისა და თანამშრომლობის განმტკიცება და სტრუქტურირება ენერგოეფექტურობასა და ენერგეტიკის საკითხებთან (აგრეთვე სხვა საკითხებთან, როგორცაა კლიმატი, გარემო და ა.შ.) დაკავშირებით ყველაზე ეფექტური პოლიტიკის შემუშავების მიზნით;
2. სამრეწველო სექტორში არსებული შესაძლებლობების მხარდაჭერა და უკეთ მართვა, რაც საქართველოს მდგრადი ეკონომიკური, გარემოსდაცვითი და სოციალური განვითარების მთავარ მამოძრავებელ ფაქტორს წარმოადგენს;
3. მთავრობისა და სამრეწველო სექტორისთვის ენერგოეფექტურობის ნებაყოფლობითი შეთანხმების ყველაზე ეფექტური პოლიტიკის შემუშავება ახალი ერთობლივი პროცესის მეშვეობით.

გარდა ამისა, პრეზენტაცია ითვალისწინებდა სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრის ძირითად დასკვნებს და ენერგოეფექტურობის შესახებ ნებაყოფლობითი შეთანხმებების მნიშვნელობას სამრეწველო სექტორისთვის, ასევე ენერგოეფექტურობის შესახებ კანონის 21-ე მუხლს, რომელიც მხარს უჭერს ნებაყოფლობით შეთანხმებებსა და გათვალისწინებულ დაპროექტების ეტაპის პროცესს.

შემდეგ პრეზენტაციაში, სახელწოდებით „ენერგოეფექტურობის კვლევის წინასწარი შედეგები“, UNIDO-ს პროექტის ეროვნულმა მენეჯერმა ქალბატონმა ნინო ლაზაშვილმა გააზიარა იმ კითხვარზე გაცემული პასუხების პირველადი ანალიზი, რომელიც მომზადდა UNIDO-ს პროექტის - „სათბურის გაზების ემისიების შემცირება საქართველოს სამრეწველო სექტორში ენერგოეფექტურობის გაუმჯობესების გზით“ ფარგლებში. ამ დროისთვის აღნიშნულ შეკითხვებს პასუხი გასცა 11-დან 4 კომპანიამ. აუცილებელია კომპანიების უკეთესი პრაქტიკის, საჭიროებებისა და გეგმების გააზრება, რათა გაირკვეს და გამოიკვეთოს ის საკითხები, რომელთა მხარდაჭერასა და მართვას უზრუნველყოფს ნებაყოფლობითი შეთანხმებების სქემა.

სესიის ბოლო პრეზენტაცია წარმოადგინა ავსტრიის ენერგეტიკული სააგენტოს უფროსმა ექსპერტმა - ქ-ნმა გაბრიელ ბრენდლმა „ენერჯის დაზოგვის მიზნების განსაზღვრის“ შესახებ.

ქალბატონმა ბრენდლმა ხაზი გაუსვა სადავო საკითხებს და აღწერა ნებაყოფლობითი შეთანხმებების სქემის ფარგლებში ენერჯის დაზოგვის მიზნების განსაზღვრის სხვადასხვა ვარიანტი, „აღმავალი“ ან „დაღმავალი“ მიდგომების გამოყენებით. მან ასევე მოკლედ აღწერა, თუ როგორ აისახება ენერჯის დაზოგვის მიზნების განსაზღვრა ISO 50001 ენერჯის მართვის სისტემების (EnMS) დანერგვაზე. გარდა ამისა, ქალბატონმა ბრენდლმა წარმოადგინა რამდენიმე კარგი მაგალითი ავსტრიაში მოქმედი ნებაყოფლობითი შეთანხმებების სქემებიდან, სავალდებულო სამიზნეების გამოყენებით.

მეორე სესიის განმავლობაში წარმოდგენილი პრეზენტაცია შეგიძლიათ იხილოთ ღონისძიების ვებ-გვერდზე:

http://www.economy.ge/uploads/files/2017/energoefekturoba/project/2021/10feb2021_3_brandl_setting_energysaving_targets_ge.pdf


http://www.economy.ge/uploads/files/2017/energoefekturoba/project/2021/10feb2021_3_brandl_setting_energysaving_targets.pdf

სესიის განმავლობაში რამდენიმე შეკითხვა დაუსვეს სამრეწველო სექტორის/კომპანიების წარმომადგენლებს ონლაინ გამოკითხვების გზით. შეკითხვებისა და კენჭისყრის შედეგები წარმოდგენილია ქვემოთ.

პირველი შეკითხვა - გააჩნია თუ არა თქვენს კომპანიას მიზანი წლიური ენერჯის დაზოგვის / ეფექტურობის კუთხით?

1. დიახ - კომპანიების რესპოდენტთა 48%
2. არა - კომპანიების რესპოდენტთა 30%
3. არ ვიცი - კომპანიების რესპოდენტთა 22%

Company has energy savings/efficiency target



მე-2 შეკითხვა - გეგმავს თუ არა თქვენი კომპანია ინვესტიციების განხორციელებას ენერგოეფექტურობის კუთხით? დასაშვებია რამდენიმე პასუხი

1. დიახ, 2021 წელს - კომპანიების წარმომადგენელთა 57%
2. დიახ, 2022 წელს - კომპანიების წარმომადგენელთა 26%
3. დიახ, 2023 წელს - კომპანიების წარმომადგენელთა 13%
4. მოცემული დროისთვის არანაირი გეგმა არ გვაქვს - კომპანიების წარმომადგენელთა 26%

მე-3 შეკითხვა - რომელი გირჩევნიათ: სამინისტროსთვის ენერჯის დაზოგვის მიზნის შეთავაზება თუ ენერჯის დაზოგვის მიზნის მიღება?

1. ენერჯის დაზოგვის მიზნის შეთავაზება - კომპანიების რესპოდენტთა 71%
2. ენერჯის დაზოგვის მიზნის მიღება - კომპანიების რესპოდენტთა 29%

მე-4 შეკითხვა - გაზომვის რომელ საშუალებას წარმოადგენდით თქვენი კომპანიის ენერჯის დაზოგვის მიზანთან დაკავშირებით?

1. დაზოგილი ენერჯია (კვტ/სთ ან გჯ) შეთანხმებულ საბაზიო მაჩვენებლებთან შედარებით – 11% (18-დან 2)
2. ენერჯის მოხმარების პროცენტული შემცირება წინა წლის მაჩვენებლებთან შედარებით – 56% (18-დან 10)
3. კვტ/სთ-ს მოხმარების შემცირება პროდუქტის ყოველ ერთეულზე (აბსოლუტური ან %) – 33% (18-დან 6)
4. სხვა – 0%

ხუთშაბათი, 11 თებერვალი

სამუშაო ჯგუფის მე-2 შეხვედრის მესამე და ბოლო სესია გაიხსნა ქალბატონი მარიტა არაბიდის, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს რეფორმებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილის შესავალი სიტყვით. ქალბატონმა არაბიდემ ისაუბრა ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მოლოდინებზე მთავრობის და სამრეწველო სექტორის სამუშაო ჯგუფის მიმართ. მან ასევე აღნიშნა, რომ ევროკავშირის ახალი ქვეყნების გამოცდილება უფრო აქტუალური იქნება, ვინაიდან საქართველო საკმაოდ შორს არის ევროკავშირის შედარებით ძველი ქვეყნების გამოცდილებისგან. ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო მზადაა, მიიღოს სამრეწველო კომპანიების მიერ წარმოდგენილი წინადადებები და განიხილოს, თუ რა დახმარება სჭირდებათ მათ ენერჯის დაზოგვის მიზნის მისაღწევად, რაც წარმატების საწინდარი იქნება როგორც კომპანიებისთვის, ისე საქართველოს ენერჯეტიკის სექტორისთვის. ქალბატონმა არაბიდემ ხაზი გაუსვა პარლამენტის წარმომადგენლის შეხვედრაზე დასწრების უდიდეს მნიშვნელობას ენერგოეფექტურობის საკითხების განსახილველად საპარლამენტო კომიტეტებში.

ამის შემდგომ, ბატონმა მატეინიმ წარადგინა პრეზენტაცია თემაზე „ენერგოეფექტურობის საკითხებზე ნებაყოფლობითი შეთანხმებების სქემის ფარგლებში კომპანიებისთვის გათვალისწინებული მასტიმულირებელი ფაქტორები“. ბატონმა მატეინიმ ისაუბრა იმ რიგ მასტიმულირებელ ფაქტორებზე, რომლებიც, როგორც წარსულში, ისე ამჟამად გამოიყენება ნებაყოფლობითი შეთანხმებების სქემებში. მან ყურადღება გაამახვილა წამახალისებელი ფაქტორების პრაქტიკულ ასპექტებსა და მათ სარგებელზე კომპანიებისთვის, მთავრობისა და, გარკვეულ შემთხვევებში, ქვეყნის სამრეწველო ენერგოეფექტურობის ბაზრისთვის. ბატონი მატეინის მიერ წარმოდგენილი პრეზენტაციის ინგლისური და ქართულენოვანი ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ღონისძიების ვებ-გვერდზე:

http://www.economy.ge/uploads/files/2017/energoefekturoba/project/2021/11feb2021_1_matteini_incentives_for_companies_within_va_schemes.pdf

http://www.economy.ge/uploads/files/2017/energoefekturoba/project/2021/11feb2021_1_matteini_incentives_for_companies_within_va_schemes_ge.pdf

ამის შემდეგ, ქალბატონი ნინო ლაზაშვილი კიდევ ერთხელ შეეხო კომპანიების ფარგლებში მონაცემთა შეგროვებისა და ანალიზის მნიშვნელობას, რაც განაპირობებს უკეთეს წარმოდგენას



კომპანიების საქმიანობაზე და უკეთესი ინფორმაციის მიღებას ნებაყოფლობითი შეთანხმებების სქემის მომზადებისა და ჩამოყალიბებისათვის. მან ასევე აღნიშნა, რომ შეხვედრის შედეგებისა და შევსებული კითხვარების მიხედვით, კომპანიებს სჭირდებათ მეტი ცოდნა და ტრენინგი ენერგოეფექტურობის საკითხებზე. აღნიშნული საჭიროების გადასაჭრელად პირველი ღონისძიების სახით, ქალბატონმა ლაზაშვილმა განაცხადა, რომ UNIDO-ს პროექტის ფარგლებში მოხდება ონლაინ ტრენინგის ორგანიზება ენერგეტიკული საბაზისო მონაცემების, ენერგოეფექტურობის ინდიკატორების განსაზღვრისა და ენერჯის დაზოგვის მიზნების დასახვის მიზნით სამუშაო ჯგუფის ყველა კომპანიისა და დაინტერესებული მხარეებისთვის.

დასკვნითი სიტყვით გამოსვლისას, ქალბატონმა არაბიძემ ხაზი გაუსვა, რომ კომპანიებმა უნდა წარმოადგინონ წინადადებები და შეკითხვები როგორც UNIDO-ს პროექტის, ასევე სამინისტროს მიმართ, რათა კომპანიების საჭიროებები და წინადადებები აისახოს მოთხოვნებსა და წამახალისებელ სტიმულებში ნებაყოფლობით შეთანხმებებში ჩასართავად. ქალბატონმა ირინა ცუხიშვილმა აღნიშნა, რომ ამ ტიპის ღონისძიებებზე პარლამენტის წარმომადგენლების დასწრება და მათი ჩართვა პოლიტიკის პროგრამების შემუშავების საწყის ეტაპზე ძალზედ აქტუალური და მნიშვნელოვანია, ვინაიდან საპარლამენტო კომიტეტებს გააჩნიათ მეტი ცოდნა და მზაობა პრობლემების გადასაჭრელად, როდესაც წინასწარ იღებენ/მიაღწევენ თავიანთ ოფიციალურ სამუშაო დღის წესრიგის საკითხებს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მან გამოხატა თავისი მადლიერება ქალბატონი არაბიძის მოწვევასა და შეხვედრის ორგანიზატორების მუშაობასთან დაკავშირებით.



დანართი I – ენერგოეფექტურობის საკითხებზე მთავრობის და სამრეწველო სექტორის სამუშაო ჯგუფის მე-2 შეხვედრის დღის წესრიგი

**მთავრობის და სამრეწველო სექტორის სამუშაო ჯგუფი
ენერგოეფექტურობის საკითხებზე**

ენერგოეფექტურობის შესახებ ნებაყოფლობითი შეთანხმებები

მე-2 შეხვედრა – 9-10-11 თებერვალი, 2021 წ.

ონლაინ ღონისძიება

დღის წესრიგი

დღე/სესია 0 – სამშაბათი, 9 თებერვალი, 2021 წ.

- 10:30-10:45** მისალმება და წარდგენა - ბ-ნი მარკო მატეინი, მრეწველობის განვითარების ოფიცერი, UNIDO
ქ-ნი ნინო ლაზაშვილი, პროექტის ეროვნული მენეჯერი, UNIDO
- 10:45-11:30** პირველი შეხვედრის შეჯამება და ძირითადი ინფორმაცია - ბ-ნი მარკო მატეინი, მრეწველობის განვითარების ოფიცერი, UNIDO
- 11:30-11:50** კითხვა-პასუხი
- 11:50-12:00** შეხვედრის შეჯამება და დასრულება

დღე/სესია 1 – ოთხშაბათი, 10 თებერვალი, 2021 წ.

რეგისტრაცია

- 10:30 – 10:45** მონაწილეებთან მისალმება - ბ-ნი დავით თვალაბეიშვილი, მინისტრის მოადგილე, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
მინისტრის მოადგილე, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო (შესაძლებელია)
- 10:45-11:00** პირველი შეხვედრის დასკვნები და მიღებული მონაცემები - ბ-ნი მარკო მატეინი, მრეწველობის განვითარების ოფიცერი, UNIDO
- 11:00-11:20** ენერგოეფექტურობის კვლევის წინასწარი შედეგები - ქ-ნი ნინო ლაზაშვილი, პროექტის ეროვნული მენეჯერი, UNIDO
- 11:20-11:50** ენერჯის დაზოგვის მიზნების დასახვა - ქ-ნი გაბრიელ ბრენდლი, უფროსი ექსპერტი, ავსტრიის ენერგეტიკული სააგენტო
ბ-ნი მარკო მატეინი, მრეწველობის განვითარების ოფიცერი, UNIDO
- 11:50-12:20** კითხვა-პასუხი



12:20-12:30 შებენის შეჯამება

დღე/სესია 2 – ხუთშაბათი, 11 თებერვალი, 2021 წ.

- 10:30-10:45 მისალმება - ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო – ქ-ნი მარიტა არაბიძე, რეფორმებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
- 10:45-10:55 პირველი დღის/სესიის ძირითადი საკითხები - ქ-ნი ნინო ლაზაშვილი, პროექტის ეროვნული მენეჯერი, UNIDO
- 10:55-11:40 წამახალისებელი ზომები ნებაყოფლობითი შეთანხმებების სქემაში მონაწილე კომპანიებისთვის (უნდა გაისაზღვროს)
- 11:40-12:10 კითხვა-პასუხი
- 12:10-12:25 შეჯამება და შემდგომი ნაბიჯები - ბ-ნი გიორგი აბულაშვილი, საქართველოს ენერგოეფექტურობის ცენტრის დირექტორი, და ბ-ნი მარკო მატეინი, მრეწველობის განვითარების ოფიცერი, ენერგეტიკის დეპარტამენტი, UNIDO

დანართი II – მონაწილეების ჩამონათვალი

სამუშაო ჯგუფის პარტნიორი კომპანიები			
N	სახელი	თანამდებობა	ორგანიზაცია
1.	რამაზ ჩადუნელი	თბოინჟინერი	რუსთავის ფოლადი
2	თამარ პაპუაშვილი	ენერგორესურსების აღრიცხვისა და რეალიზაციის მთავარი სპეციალისტი	რუსთავის ფოლადი
3.	მოჰან კუმარ გოვინდეგოვდა	ელექტრო განყოფილების უფროსი	შპს ჯეოსთილი
4.	ალექსანდრე კანაშვილი	ტექნიკური კონსულტანტი	შპს ჯეოსთილი
5.	ნიკოლოზ გაფრინდაშვილი	ენერგეტიკოსი	შპს „ჯი.თი.ემ. გრუპ“
6.	თამარ ცუკილაშვილი	ენერგომომარაგების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე, ენერგო მენეჯერი	თბილისის სატრანსპორტო კომპანია
7.	თემურ ქარსელაძე	შრომის, გარემოსდაცვითი და ტექნიკური უსაფრთხოების ინსპექტორი	ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა
8.	გიორგი გელაშვილი		ქუთაისის ავტომექანიკური ქარხანა
9.	ლალი გოგოლაძე	ეკოლოგი	შპს საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი
10.	ვერიკო ალემაშვილი	გარემოსდაცვითი სამმართველოს უფროსი	შპს საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფი
11.	დემეტრი ოტიაშვილი	ენერგეტიკოსი	შპს „ჯეო-ორგანიკ“
12.	ზაალ ღამბაშიძე	მთავარი ენერგეტიკოსი	შპს რუსელოს
13.	ზაურ გოგიჩაიშვილი	ენერგეტიკის სამსახურის უფროსი	შპს რუსელოს
14.	კახა ქარჩხაძე	განახლებადი ენერჯების დარგის წამყვანი მკვლევარი	შპს „ბიოზიდელ ჯორჯია“
ახალი კომპანიები			
N	სახელი	თანამდებობა	ორგანიზაცია
15.	ქ-ნი ნინო მაღრაძე	უფროსი ანალიტიკოსი - ბიზნესი / კომერცია	Cerberus Frontier
16.	გიორგი ჩხარტიშვილი	უფროსი გარემოსდაცვითი სპეციალისტი	აიდის ბორჯომი
17.	ლაშა კვაჭაძე	ინფორმაციისა და ანალიზის განყოფილების უფროსი	სს საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემა
18.	ირაკლი კოპალიანი	კონსულტანტი	შპს შნო

19.	გურამ მაკაროვი	HR მენეჯერი	შპს კავკასპაკ
20.	ალექსანდრე ნებიერიძე	დამფუძნებელი	შპს ნატურალი
21.	აკაკი თითბერიძე	მშენებელთა უფროსი	კაია
22.	ცოტნე ვერულაშვილი	გათბობისა და ვენტილაციის მიმართულების ხელმძღვანელი	კაია
კონსულტანტები			
N	სახელი	თანამდებობა	ორგანიზაცია
23.	გია არაბიძე	პროფესორი	სტუ
24.	კონსტანტინე ბარჯაძე	ენერგო აუდიტორი	საქართველოს ენერჯიფიქტურობის ცენტრი
25.	ნიკოლოზ ჯავშანაშვილი	ფასილიტატორი	RECP
26.	როლანდ ბულთენი	კვლევითი კონსულტანტი	შპს InsideOut
სამთავრობო წარმომადგენლები			
N	სახელი	თანამდებობა	ორგანიზაცია
27.	მარიტა არაბიძე	ენერგეტიკული რეფორმებისა და საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტის უფროსის მოადგილე	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
28.	ნატალია ჯამბურია	ენერჯიფიქტურობისა და განახლებადი ენერჯიების პოლიტიკის ხელშეწყობის სამმართველოს უფროსი	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
29.	მაია ცხვარაძე	კლიმატის ცვლილების სამმართველო	გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
30.	ანნა რუსეიშვილი	მთავარი სპეციალისტი	ფინანსთა სამინისტრო
31.	ირინა ცუხიშვილი	წამყვანი სპეციალისტი	საქართველოს პარლამენტი
32.	ნიკოლოზ ხოლოდოვი	უფროსი სპეციალისტი - ენერჯიფიქტურობისა და განახლებადი ენერჯიების პოლიტიკის ხელშეწყობის სამმართველო	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
33.	მათე თორაძე	კონსულტანტი - ენერჯიფიქტურობისა და განახლებადი ენერჯიების პოლიტიკის ხელშეწყობის სამმართველო	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
34.	თინათინ ვახანია	კონსულტანტი - ენერჯიფიქტურობისა და განახლებადი ენერჯიების პოლიტიკის ხელშეწყობის	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო

		სამმართველო	
35.	თამარ საბელაშვილი	უფროსი სპეციალისტი - ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის პოლიტიკის ხელშეწყობის სამმართველო	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
36.	ლუკა ღარიბაშვილი	სტაჟიორი - ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის პოლიტიკის ხელშეწყობის სამმართველო	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
37.	სოსო მინდიაშვილი	კონსულტანტი - ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის პოლიტიკის ხელშეწყობის სამმართველო	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
38.	ნუცა შამფრიანი	სტაჟიორი - ენერგოეფექტურობისა და განახლებადი ენერჯის პოლიტიკის ხელშეწყობის სამმართველო	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
39.	დავით ადვაძე	მდგრადი განვითარების სამმართველოს უფროსის მოვალეობების შემსრულებელი	ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო
40.	ომარ წერეთელი	ექსპერტი ენერგოეფექტურობის საკითხებზე	ენერჯეტიკის განვითარების ფონდი
ბანკის წარმომადგენლები			
N	სახელი	თანამდებობა	ორგანიზაცია
41.	ანა სარალიძე	გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მენეჯერი	თიბისი ბანკი
42.	თამარ კობერიძე	გარემოსდაცვითი და სოციალური რისკების მენეჯერი	თიბისი ბანკი
43.	ქეთევან მუმლაძე	სოციალური და გარემოსდაცვითი რისკების განყოფილების უფროსი მენეჯერი, სოციალური და	საქართველოს ბანკი
44.	ხატია ნათენაძე	გარემოსდაცვითი რისკის განყოფილება	საქართველოს ბანკი
45.	ალექსანდრე ჯაშიაშვილი	გარემოს მართვის განყოფილების უფროსი	პროკრედიტ ბანკი



N	სახელი	თანამდებობა	ორგანიზაცია
46.	მარკო მატეინი	მრეწველობის განვითარების ოფიცერი	UNIDO
47.	გაბრიელ ბრენდლი	უფროსი ექსპერტი	ავსტრიის ენერგეტიკული სააგენტო
48.	ნინო ლაზაშვილი	პროექტის ეროვნული მენეჯერი	UNIDO

დანართი III – დამატებითი რესურსები ნებაყოფლობითი შეთანხმებების სქემებთან დაკავშირებით

ა. საინფორმაციო ბიულეტენი ენერგოეფექტურობის შესახებ ნებაყოფლობითი შეთანხმებების სქემებთან დაკავშირებით

ბმული: http://www.economy.ge/uploads/files/2017/energoefekturoba/project/geo/geo_05_final_factsheet_voluntary_agreements_with_industry_in_georgia.pdf

http://www.economy.ge/uploads/files/2017/energoefekturoba/project/05_final_factsheet_voluntary_agreements_with_industry_in_georgia.pdf

ბ. სამრეწველო სექტორში ენერგოეფექტურობასთან დაკავშირებით ნებაყოფლობითი შეთანხმებების სქემების შესახებ საერთაშორისო – თბილისი, 3 ივლისი, 2019 წ.

ბმული: <http://www.economy.ge/?page=economy&s=128&lang=en>

<http://www.economy.ge/?page=economy&s=128&lang=ge>

გ. ენერგოეფექტურობის საკითხებზე მთავრობის და სამრეწველო სექტორის სამუშაო ჯგუფის პირველი შეხვედრა – თბილისი, 19 თებერვალი, 2020 წ.

ბმული: <http://www.economy.ge/?page=economy&s=128&lang=en>

<http://www.economy.ge/?page=economy&s=128&lang=ge>

დ. ენერგოეფექტურობის საკითხებზე მთავრობის და სამრეწველო სექტორის სამუშაო ჯგუფის მე-2 შეხვედრა – თბილისი, 19 თებერვალი, 2020 წ.

ბმული: <http://www.economy.ge/?page=economy&s=128&lang=en>

<http://www.economy.ge/?page=economy&s=128&lang=ge>

ე. საქართველოს კანონი ენერგოეფექტურობის შესახებ

ბმული: <https://matsne.gov.ge/en/document/download/4873938/0/en/pdf>

<https://matsne.gov.ge/ka/document/view/4873938?publication=0>